{2008} ECR I-6351

ევროკავშირმა გაატარა რიგი საკანონმდებლო ღონისძიებები და მიიღო გარკვეული რეგულაციები, რაც მიზნად ისახავდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, მათ შორის 1267–ე რეზოლუციის (1999) იმპლემენტაციას. გაეროს აღნიშნული რეზოლუციები მიღებული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებზე 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების ფონზე და ყველა სახელმწიფოსგან მოითხოვდა ფონდებისა თუ სხვა ფინანსური რესურსების გაყინვას იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდებოდნენ თალიბანის მხრიდან, ასოცირებულნი იყვნენ ოსამა ბინ ლადენთან ან ალ–ქაედას ქსელთან. აღნიშნული რეზოლუციების იმპლემენტაციის მიზნით გაერომ შექმნა ე.წ. სანქციების კომიტეტი. მოსარჩელეები იმათ შორის აღმოჩნდნენ, ვინც გაეროს სიის თანახმად მიჩნეულები იქნენ ოსამა ბინ ლადენთან და ალ ქაედასთან კავშირში მყოფ პირებად, რის გამოც მათი სახელები ევროკავშირის სიებშიც აისახა. 2001 წელს კადიმ, იუსუფთან და ალ ბარაქაათ საერთაშორისო ფონდთან ერთად შეიტანა სარჩელი, ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოში (ამჟამად საერთო სასამართლო) და მოითხოვა გაებათილებინათ ევროკავშირის ის აქტები, რომლებმაც მათი სანქციების რეჟიმში მოქცევა მოახდინეს. მოსარჩელეების აღნიშნავდნენ, რომ სადავო ევროკავშირის რეგულაციები არღვევდნენ მათ ფუნდამენტურ უფლებებს, კერძოდ, მათ საკუთრების უფლებას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას იქედან გამომდინარე, რომ მათ ყოველგვარი სასამართლო განხილვისა და ბრალდებისაგან თავის დაცვის გარეშე დააკისრეს ძალინ მძიმე სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი სანქციები. მოსარჩელეები აცხადებდნენ, რომ მათ არ აცნობეს, თუ რატომ დააკისრეს სანქციები და ამასთან, შესაძლებლობაც არ მისცეს ახსნა–განმარტებები გაეკეთებინათ, ან თავი ემართლებინათ. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა მათი მოთხოვნა გაბათილებულიყო ევროკავშირის მიერ გატარებული ღონისძიებები, აღნიშნა, რომ სასამართლოს არაპირდაპირაც კი არ გააჩნდა უფლებამოსილება და იურისდიქცია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხილვისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ *jus cogens*–ის დარღვევასთან არ გვექნებოდა საქმე. მართლმსაჯულების მოსაზრებით კი, ამ შემთხვევაში *jus cogens*–ის დარღვევა სახეზე არ იყო (იხ. T- 315/01 პარა. 192-208; 221-225; T-306/01 პარა. 242-258; 277-283). მოსარჩელეებმა აღნიშნული გადაწყვეტილება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში გაასაჩივრეს, სადაც სასამართლომ რადიკალურად სხვა მიდგომა აირჩია.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო

281. ამ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გაერთიანება ემყარება კანონის (სამართლის) უზენაესობას, იმდენად რამდენადაც არც მის წევრ სახელმწიფოებს და არც მის ინსტიტუტებს არ ძალუძთ თავიდან აიცილონ მათ მიერ გამოცემული აქტების შესაბამისობის განხილვის საკითხი ძირითად საკონსტიტუციო ქარტიასთან–ევროგაერთიანების ხელშეკრულებასთან, რომელმაც შექმნა იურიდიულ ღონისძიებათა და პროცედურათა სრული სისტემა მართლმსაჯულების სასამართლოსთვის ინსტიტუტების მიერ გამოცემული აქტების ლეგალურობის განსახილველად (საქმე 294/83 *ლეზ ვეღ პარლამენტის წინააღმდეგ* (1986), 1339, პარა. 23).

282. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ საერთაშორისო შეთანხმება გავლენას ვერ მოახდენს ხელშეკრულებებით განსაზღვრული ძალაუფლების განაწილებაზე, ან შესაბამისად, გაერთიანების იურიდიული სისტემის ავტონომიაზე, რომლის დაცვაც სასამართლოს მიერ არის უზრუნველყოფილი ევროგაერთიანების ხელშეკრულების 220–ე მუხლით განსაზღვრული ექსკლუზიური იურისდიქციის წყალობით, იმ იურისდიქციის, რომელიც სასამართლომ ამ გაერთიანების საფუძვლად უკვე მიიჩნია.

283. ამას გარდა, დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ფუნდამენტური უფლებები შეადგენენ სამართლის ზოგადი პრინციპების შემადგენელ ნაწილს, რომელთა დაცვასაც სასამართლო უზრუნველყოფს. ამ მიზნებისთვის, სასამართლო შთაგონებას იღებს წევრი სახელმწიფოების საერთო კო-

ნსტიტუციური ტრადიციებიდან და დებულებებიდან, რომლებიც სათავეს იღებენ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო მექანიზმებიდან და რომლებზეც წევრმა სახელმწიფოებმა ერთად იმუშავეს, ისევე როგორც მის ხელშემკვრელ მხარეებსაც წარმოადგენენ. ამ მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

284. სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ასევე ნათელია, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემა გაერთიანების მიერ გამოცემული აქტების კანონიერების აუცილებელი პირობაა (მოსაზრება 2/94, პარა. 34) და რომ ის ღონისძიებები, რომლებიც ადამიანის უფლებებთან შეუსაბამოა გაერთიანებისთვის იქნება მიუღებელი (საქმე C–112/00 შმიდბერგერი, 2003, ECR I–5659, პარა. 73). 285. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები უარყოფით გავლენას ვერ იქონიებს ევროგაერთიანების ხელშეკრულების საკონსტიტუციო პრინციპებზე, რომელიც აგრეთვე მოიცავს პრინციპს, რომ გაერთიანების ყველა აქტი პატივს უნდა სცემდეს ფუნდამენტურ უფლებებს, რაც განსაზღვრავს მის კანონიერებას და რომლის განხილვის უფლებაც გააჩნია სასამართლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი ღონისძიებების მთლიან სისტემაზე დაყრდნობით.

286. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, მსგავს გარემოებებში, სადავო აქტის კანონიერებაზე ევროგაერთიანების სასამართლოს მიერ განხილვა მიემართება თავად ამ აქტს და არა იმ საერთაშორისო შეთანხმებას, რომლისთვის ეფექტის მისაცემადაც თავად ეს აქტი გამოიცა.

.....

302. სიმართლეს შეესაბამება, რომ ევროგაერთაინების ხელშეკრულების 297-ე მუხლი იძლევა ერთგვარ არაპირდაპირ (მინიშნებით) ნებართვას გარკვეული დაბრკოლებები შეექმნას საერთო ბაზარს წევრი სახელმწიფოების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად იმ შემთხვევაში, როცა მათი მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

303. თუმცა, ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ის ნებას რთავდეს გადაუხვიონ კავშირის სადამფუძნებლო მე-6.1 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემისგან.

304. ევროგაერთიანების ხელშეკრულების 307-ე მუხლი არ რთავს ნებას არც ერთ შემთხვევაში, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ის პრიცნიპები, რომლებიც გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის საფუძვლებიდან მომდინარეობს და რომელთაგან ერთ-ერთი არის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, ისევე როგორც ამ გაერთიანების სასამართლოს უფლება განიხილოს გაერთიანების მიერ მიღებული აქტების შესაბამისობა ფუნდამენტურ უფლებებთან.

305. ასევე, საფუძველს მოკლებულია სადაო რეგულაციის სასამართლო იურისდიქციისაგან იმუნიტეტის არსებობის ძიებაც, რომელიც მიზნად ისახავს, რომ როგორმე სასამართლომ არ განიხილოს მისი შესაბამისობა ფუნდამენტურ უფლებებთან და რომელიც ეფუძნება ვარაუდს, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისთვის ეფექტის მისაცემად გამოცემულ ღონიძიებას ვითომ აბსოლუტური პრიმატი გააჩნდეს იმის მიხედვით, თუ რა ადგილს დაიკავებდა გაეროს ქარტია გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის ნორმათა იერარქიაში, ასეთი ვალდებულებების კლასიფიცირება რაიმე იერარქიით რომ ხდებოდეს.

306. ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-300(7) მუხლი თანახმად, ამ მუხლის პირობებით დადებული შეთანხმებები არის სავალდებულო როგორც გაერთიანების ინსტიტუტების, ასევე მისი წევრი სახელმწიფოებისთვისაც.

307. მაშასადამე, ამ დებულების ძალით, ივარაუდება რა, რომ იგი მიემართება გაეროს ქარტიასაც, ამ უკანასკნელს ექნება უპირატესობა გაერთიანების მეორად კანონმდებლობასთან მიმართებაში...

308. გაერთიანების სამართლის დონეზე პრიმატი არ შეიძლება გავრცელდეს პირველად კანონმდებლობაზე, განსაკუთრებით კი ძირითად პრინციპებზე, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ფუნდამენტური უფლებები წარმოადგენენ.

.....

326. აქედან გამომდინარე, გაერთიანების სასამართლო ვალდებულია, ევროგაერთიანების ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების თანახმად, მოახდინოს გაერთიანების მიერ მიღებული ყველა აქტის ფუნდამენტურ უფლებებთან, როგორც გაერთიანების სამართლის ზოგადი პრინციპების შემდგენელ ნაწილთან,– შესაბამისობის სრულყოფილი განხილვა, მათ შორის იმ ღონისძიებებისაც, რომლებიც მსგავსად ამ სადაო რეგულაციისა, მიღებული იქნენ გაეროს ქარტიის VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ გამოცემული რეზოლუციებისთვის ეფექტის მისაცემად.

.....

333. მართებული იქნება, პირველ რიგში, გამოვიკვლიოთ ბატონი კადისა და ალ ბარაქაას მოთხოვნები დაცვის უფლების განხორციელების დარღვევასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი უფლებებისა, რომელიც გულისხმობს სასამართლოში საქმის განხილვას და ეფექტურ მართლმსაჯულებას, რომლებიც გამონვეულ იქნა მოსარჩელეებისთვის სადაო რეგულაციით დაკისრებული ფინანსების გაყინვის ღონისძიებებით.

334. იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომელიც თან ახლავს სადაო რეგულაციის პირველი დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ჩამონათვალში მოსარჩელეების ჩართვას, უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის უფლება, განსაკუთრებით კი სასამართლოსადმი მიმართვის და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის თუ ეფექტური მართლმსაჯულების უფლება, ცალსახად უგულვებელყოფილ იქნა.

335. არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპი გაერთიანების სამართლის ზოგადი ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც მომდინარეობს წევრ სახელმწიფოთა საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან და განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 და მე–13 მუხლებით, და რომელიც აგრეთვე კიდევ ერთხელ დადასტურდა ნიცაში 2000 წლის 7 დეკემბერს ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 47–ე მუხლით (OJ 2000 C 364, გვ. 1).

352. მაშასადამე, უნდა მივიჩნიოთ, რომ სადავო რეგულაცია, რამდენადაც ის ეხება მოსარჩელეებს, მიღებულ იქნა ყველა იმგვარი გარანტიის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფდა მათი ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების მათთვის შეტყობინებას ან მათი სასამართლოს წინაშე წარდგომის შესაძლებლობას, რის გამოც უნდა უნდა დავასკვნათ, რომ რეგულაცია იმგვარი პროცედურით მიიღეს, რომელიც მოსარჩელეთა დაცვის უფლებას არ უზრუნველყოფდა; უფრო მეტიც, ამის შედეგად მოხდა ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპის დარღვევაც.

353. აქედან გამომდინარე, ეს ნიშნავს, რომ ბატონი კადის და ალ ბარაქაათის საჩივრები, რომლითაც ისინი მოითხოვენ სადავო რეგულაციის გაუქმებას და მათი დაცვის უფლების, სასამართლოს წინაშე საქმის განხილვისა და და ეფექტური მართლმსაჯულების უფლების დარღვევის დადასტურებას, საფუძვლიანია.

357. ამის შემდგომ, უნდა შემოწმდეს, სადავო რეგულაციის საფუძველზე მიღებული ფინანსების გაყინვის ღონისძიება რამდენად წარმოადგენს არაპროპორციულ და დაუშვებელ ჩარევას, რომლითაც მოხდა კერძო საკუთრების პატივისცემის ფუნდამენტური უფლების არსებითი დარღვევა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ბატონი კადის მსგავსად, ნახსენები არიან ამ რეგულაციის პირველი დანართით გათვალისწინებულთა სიაში...

369. სადაო რეგულაცია, რამდენადაც ის ეხება ბატონ კადის, მიღებული იქნა ყოველგვარი გარანტიის გარეშე, რომ მას საკუთარი საქმე წარედგინა კომპეტენტური თანამდებობის პირებისადმი; მისი უფლებების შეზღუდვა მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც არსებითი შეზღუდვა, ამგვარი გაყინვის ღონისძიების ზოგადი მიდგომით გამოყენებისა და მისი განგრძობადი ხასიათის გამო.

370. მაშასადამე, უნდა დადგინდეს, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სადავო რეგულაციით გათვალისწინებული შემაკავებელი ღონისძიებების გამოყენება ბატონ კადისთან მიმართებაში, კერძოდ, მისი შეყვანა რეგულაციის პირველი დანართით გათვალისწინებულ სიაში, წარმოადგენს გაუმართლებელ შეზღუდვას მისი საკუთრების უფლებაზე...

372. ამ ყველაფრიდან გამომდინარეობს, რომ სადაო რეგულაცია იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოსარჩელეებს, ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

.....

ამის მიუხედავად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მომდევნო სამი თვის განმავლობაში ძალაში დატოვა აღნიშნული რეგულაცია, რითაც ევროკავშირის ინსტიტუტებს პროცედურული დარღვევების გამოსწორების საშულება მისცა. მართლაც, მიაწოდეს რა გაეროს სანქციების კომიტეტის დასაბუთების მოკლე ანოტაცია და მისცეს რა მოსარჩელეებს მცირე შესაძლებლობა, რომ ეპასუხათ ბრალდებისთვის, ევროკომისიამ 2008 წელს ხელახლა გამოსცა რეგულაცია (1190/2008), რომლის საფუძველზეც კადის მიმართ სანქციები შენარჩუნდა. ამიტომ მოსარჩელემ საერთო სასამართლოს ხელახლა მიმართა ღონისძიების გაბათილების მოთხოვნით.

- საქმეზე *კადი II* (T-85/09) საერთო სასამართლომ, ერთი მხრივ, გააკრიტიკა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მსჯელობა ევროკავშირის სამართლის საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობის ნაწილში, განსაკუთრებით ეს შეეხებოდა გაეროს ქარტიასთან და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან მიმართებაში გამოთქმულ მოსაზრებებს. ხოლო, მეორეს მხრივ, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარ არსს ზედმიწევნით მიჰყვა და დაეთანხმა. საერთო სასამართლომ დეტალურად გამოიკვლია ბრალდების მიერ მოყვანილი მტკიცებულებები, რის შედეგადაც უარყო ისინი ზედაპირულობისა და არაადექვატურობის გამო. შესაბამისად, საერთო სასამართლომ რეგულაცია გააბათილა და ამჯერად უპირობოდ, ყოველგვარი ვადის დათქმის გარეშე. ხოლო ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმე *კადი II* აპელაციაზე არ მიიღო და ძალაში დატოვა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება.

გამოცემაზე მუშაობდნენ მარიამ ებრალიძე და ნათია დვალი

Prepared for publicati on by Mariam Ebralidze and Nati Dvali

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel: 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge